საქართველო

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების
ცენტრი შ.პ.ს "საინჟგეო"

ქ. თბილისში, ევგენი მიქელაძის ქუჩა №11გ-ში (საკად. კოდი №01.13.03.023.095) 14 სართულიანი მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები



თბილისი

2019

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ცენტრი
შ.პ.ს. „საინჟგეო“
სლც №1890

ქ. თბილისში, ევგენი მიქელაძის ქუჩა №11გ-ში (საკად. კოდი №01.13.03.023.095) 14 სართულიანი მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

ნ. გოგუა
დირექტორი



თბილისი
2019 წ.

სარჩევი

		გვ.
	ტექნიკური დავალება	2
I	ზოგადი ნაწილი	3
I.1	შესავალი და კვლევის პროგრამა	3
I.2	ადგილმდებარეობა, საზღვრები და მისასვლელი გზები	6
I.3	კლიმატური მახასიათებლები	7
I.4	ზედაპირული წყლები	8
I.5	გეომორფოლოგიური პირობები და გეოდინამიკური პროცესები	9
I.6	გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები	9
II	სპეციალური ნაწილი	13
II.1	საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და გამოყოფილი გრუნტების სახესხვაობები	13
II.2	გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები	13
	დასკვნები და რეკომენდაციები	18-23

ტექსტური დანართები

		გვ.
1	გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული კვლევის შედეგები	25-27
2	წყლის სინჯის ქიმიური ანალიზი	28-29
	წყლის აგრესიულობის ხარისხი ბეტონის მიმართ	30
	გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი მეტალის კონსტრუქციებზე	30
	წყლის სინჯის შემოკლებული ქიმიური ანალიზის შედეგი	31
3	გრუნტის გამონატუტის ქიმიური ანალიზი	32-33
	აგრესიულობის ხარისხი ბეტონებისათვის	34
	გრუნტის ნიმუშის გამონატუტის ქიმიური ანალიზის შედეგი	35
4	ძირითადი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოცდების შედეგები	36-40

გრაფიკული დანართები

		გვ.
1	უბნის ტოპოგრაფიული გეგმა ჭაბურღილების და ჭრილების ხაზების განლაგებით (მასშტაბი: 1:500)	42-43
2	ჭაბურღილების სვეტები	44-48
3	პირობითი აღნიშვნები საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილებისთვის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები: I-I^{I}; II-II^{I}; III-III^{I}; IV-IV^{I}	49-54

ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – 14 სართულიანი მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა;
ობიექტის მდებარეობა - ქ. თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა №11გ საკად. კოდი №01.13.03.023.095.
დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია;
კომპლექსის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – მეორე (სახ. სტანდარტი 27751-88);
მშენებლობის ტიპი – ახალი;
პირობითი ნიშნული – 0.00 – ≈418.70
საძირკვლის ფილის ძირის საორიენტაციო ნიშნული - 411.30;
საპროექტო შენობების ტიპი - მონოლითური რკ.ბ-ის კარკასი.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის აშენება 2 მიწისქვეშა სართულით.

საძირკვლების ტიპი - გამომდინარე უბნის გეოლოგიური აგებულებიდან და საპროექტო შენობის კონსტრუქციული თავისებურებებიდან – წერტილოვანი - საბურღ სატენი ტექნოლოგიით შესრულებული რკინაბეტონის ხიმინჯები, შეკრული რანდკოჭების მეშვეობით.
საორიენტაციო დატვირთვა (წნევა) საძირკვლის ძირზე მრავალსართულიანი შენობებისთვის – 300-400 ტ;
მზიდი კონსტრუქციების მასალა – მონოლითური რკინაბეტონი.

სამშენებელო მოედანზე გაყვანილი იქნას 4 (სარეკომენდაციო რაოდენობა) ჭაბურღილი, ჭაბურღილების სიღრმე განისაზღვროს ინჟინერ-გეოლოგის მიერ ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის) შესაბამისად.

შეფასდეს უბნის ამგები გრუნტების, (არაკლდოვანებისთვის) ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრები: ბუნებრივი ტენიანობა, დენადობის მაჩვენებელი, ფორიანობის კოეფიციენტი, დეფორმაციის მოდული, სიმკვრივე, ხახუნის კუთხე, შეჭიდულობა, საანგარიშო წინაღობა, ძირითადი კლდოვანი გრუნტების შემთხვევაში წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე როგორც ბუნებრივ ისე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში, გამოფიტვის ხარისხი და სხვა.
მოსაზღვრედ მდებარე შენობა-ნაგებობების არსებობის შემთხვევაში განსაზღვრული იქნას საძირკვლის ტიპი და ზოგადად შეფასებული იქნას დაფუძნების პირობები.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები შესრულდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად; საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის დოკუმენტაცია (ტექნიკური ანგარიში) წარმოდგენილი იქნეს აკინძული 2 ეგზემპლარად და ასევე ელექტრონულ ვერსიაში.

მთ. არქიტექტორი
(მთ. კონსტრუქტორი)

ივნისი 2019 წ.

ქ. თბილისში, ევგენი მიქელაძის ქუჩა №11გ-ში (საკად. კოდი №01.13.03.023.095) 14 სართულიანი მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

I. ზოგადი ნაწილი

I.1 შესავალი და კვლევის პროგრამა

შპს „სამშენებლო ინვესტიციები და პარტნიორებთან“ 2019 წლის 17 ივნისს დადებული №6 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „საინჟგეო“-მ 2019 წლის ივნის-ივლისში, ქ. თბილისში, ევგენი მიქელაძის ქუჩა №11გ-ში (საკად. კოდი №01.13.03.023.095) 14 სართულიანი მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დადგენა და დასაპროექტებელი ნაგებობების დაფუძნების პირობების განსაზღვრა.



№1 ჭაბურღილის ბურღვის პროცესი

დასაპროექტებელი ნაგებობების ტექნიკური მახასიათებლები და კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით მოცემულია დართულ ტექნიკურ დავალებაში.

ზემოაღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, ჩატარებული იქნა შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით მოხდა სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორიის ფართის და მიმდებარე ტერიტორიების დეტალური დათვალიერება. ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად დამკვეთის მიერ მონიშნულ ტექნიკურად მისადგომ წერტილებში გაიბურღა 4 საპროექტო ჭაბურღილი; ბურღვა მიმდინარეობდა მექანიკური სვეტური მეთოდით, საბურღი დანადგარებით „УГБ-1ВС“ და „УРБ-2-А2“ 146, 127, 108 და 89 მმ-იანი დიამეტრებით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.



№2 ჭაბურღილის ბურღვის პროცესი

ჭაბურღილების სიღრმეები განისაზღვრა ს. ნ. და წ. 1.02.07-87-ის (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის) პგ. 3.64-ის შენიშვნა 2-ის შესაბამისად. ოთხივე გამონამუშევრის მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 46 გრძ. მეტრი.

გავრცელებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების და ქანების აგრესიულობის (გრუნტებში მარილების შემცველობის ანალიზის საფუძველზე) შესასწავლად ჭაბურღილებიდან აღებული იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 8 (5 თიხოვანი და 3 ძირითადი ქანებიდან) და დარღვეული სტრუქტურის 4 (3 მსხვილნატეხოვანი და 1 თიხოვანი (მარილიანობაზე) ქანებიდან) ნიმუში. პარალელურად ხდებოდა დაკვირვება გრუნტის წყლის გამოვლენებზე, მათი გამოჩენის და დამყარების დონეებზე, ბურღვის პროცესზე, კერნის

ფიზიკური მდგომარეობის შესწავლაზე. №2 ჭაბურღილიდან აღებული იქნა გრუნტის წყლის სინჯი აგრესიულობაზე ბეტონების და მეტალის მიმართ.

აღებული თიხოვანი გრუნტების და წყლის ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევა ჩატარდა შ.პ.ს. „საინჟგეო“-ს გრუნტების და წყლის კვლევის ლაბორატორიაში ნ. ხმელიძის და მ. მარდაშოვას მიერ, ხოლო ძირითადი ქანების ნიმუშების – წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტის ლაბორატორიაში გ. ბალიაშვილის მიერ.



№3 ჭაბურღილის ბურღვის პროცესი

ობიექტის ტოპოგრაფიული გეგმა 1:500 მასშტაბში დატანილი 4 საპროექტო ჭაბურღილით შ.პ.ს. „საინჟგეოს“ გადმოსცა „დამკვეთმა“. ჭაბურღილების გეგმურ-სიმაღლითი მიბმა შესრულდა აღნიშნული გეგმის მიხედვით.

საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჭაბურღილები ამოივსო განაბურღი გრუნტით და დაიტკეპნა.

წინამდებარე დასკვნა შედგენილია საველე სამუშაოების, ლაბორატორიული კვლევის შედეგების, საარქივო მასალების და ლიტერატურული წყაროების გადამუშავების შედეგად, საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების (სავალდებულო) შესაბამისად – ს. ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო-გამოკვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. პნ 02.01-08 (შენობა-ნაგებობათა ფუძეები) ს.ნ. და წ. პნ 01.01-09 (სეისმომედეგი მშენებლობა) და პნ 01.05-08 (სამშენებლო კლიმატოლოგია); სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები) და თანახმად გაცემული ტექნიკური დავალებისა, დასკვნის ტექსტს თან ახლავს

უბნის ტოპოგრაფიული გეგმა 1:500 მასშტაბში ჭაბურღილების და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილის ხაზების განლაგებით, ჭაბურღილის სვეტები და უბნის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები.

საველე და კამერალური სამუშაოები შესრულდა საინჟინრო-გეოლოგიური სამსახურის უფროსის თ. ჩაჩავას ხელმძღვანელობით.

საველე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, მიღებული მასალების კამერალური დამუშავება და საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედგენა განხორციელდა 2019 წლის ივნის-ივლისში.

I.2 ადგილმდებარეობა, საზღვრები და მისასვლელი გზები

გამოკვლეული საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისის ცენტრალურ ნაწილში – დიღომში, ევგენი მიქელაძის ქუჩა №11გ-ში (საკად. კოდი №01.13.03.023.095) და შედის დიდუბე-ჩუღურეთის ადმინისტრაციულ რაიონში. საპროექტო მოედანი შემოფარგლულია ჩრდილოეთიდან – ევგენი მიქელაძის ქუჩით, აღმოსავლეთიდან – 12 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსით, ხოლო სამხრეთიდან და დასავლეთიდან ერთსართულიანი არასაცხოვრებელი შენობებით.

უბანზე მოხვედრა შეიძლება წლის ყველა დროს ნებისმიერი სახის ავტოტრანსპორტით მიქელაძის და მასთან დაკავშირებული ქუჩების მეშვეობით.



ამონარიდი 1:25 000 მასშტაბის K-38-78-B- б (Тбилиси) ნომენკლატურის ტოპოგრაფიული რუკიდან

I.3 კლიმატური მახასიათებლები

გამოკვლეული უბანი მთლიანად შედის ქვემო ქართლის ბარის მშრალი კონტინენტური სტეპური ჰავის ზონაში, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით (სამშენებლო კლიმატური – IIIგ ქვერაიონი). უბნის კლიმატის ცალკეული ელემენტები დახასიათებულია დიდუბის და თბილისის ზოგიერთი სხვა გამოკვლეულ უბანთან შედარებით ახლოს განლაგებული მეტეოსადგურების მონაცემებით.

უბანზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 12.6°C. ყველაზე ცივი თვე იანვარია, საშუალო ტემპერატურით 0.7°C. ყინვები შესაძლებელია ნოემბრიდან მარტამდე. აბსოლუტური მინიმუმია -24°C. წლის ყველაზე თბილი თვე აგვისტოა 24.4°C საშუალო ტემპერატურით. დაფიქსირებული მაქსიმალური ტემპერატურაა 40°C.

ჰაერის საშუალო ტემპერატურაა, °C

ცხრილი №1

მეტეოსადგური	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
დიდუბე	0.7	2.4	6.3	11.7	17.1	20.9	24.3	24.4	19.6	13.8	7.5	2.7

ნალექების წლიური ჯამია 560 მმ. მათი მაქსიმალური რაოდენობა მოდის მაის-ივნისში, მინიმალური აგვისტოში და დეკემბერ-იანვარში. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ 89, ხოლო ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმია 147 მმ. იშვიათია თოვლიანი ზამთარი. თოვლი შეიძლება მოვიდეს ოქტომბრიდან აპრილის ჩათვლით. დღეთა რიცხვი თოვლის საფარით სულ 14-ს შეადგენს. თბილისის წყალსაცავთან თოვლის საშუალო სიმაღლე მხოლოდ 8 სმ-ია. ხოლო თოვლის საფარის წონა 0.50 კპა-ია.

ნალექების წლიური განაწილება, მმ

ცხრილი №2

მეტეოსადგური	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
დიდუბე	19	27	36	57	90	73	50	36	46	40	46	40

ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობის მაჩვენებელი 66%-ია. ფარდობითი ტენიანობა 13 საათზე ყველაზე ცივი და ყველაზე ცხელი თვეებისათვის არის შესაბამისად 60 და 40%.

ქ. თბილისში (ობსერვატორია) გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთის (28%), ჩრდილოეთის (26%) და სამხრეთ-აღმოსავლეთის (25%) ქარები, რომლებიც გამოირჩევიან სიძლიერითაც. გაცილებით ნაკლებია სამხრეთის მიმართულების ქარები (8%). დასავლეთის და აღმოსავლეთის ქარები მხოლოდ 4-4%-ია, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებები შესაბამისად 3 და 2%-ს შეადგენს. ქარზე დაკვირვებათა საერთო

რიცხვის 33% შტილია. ქარები მაქსიმალურ სიჩქარეებს აღწევენ მარტსა და აპრილში, ხოლო ყველაზე მშვიდი თვეებია ნოემბერი და დეკემბერი. ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე იანვარსა და ივლისში შესაბამისად 4.8/0.5 და 4.6/1.0 მ/წმ-ია.

ქარის ყველაზე დიდი შესაძლო სიჩქარე, მ/წმ. ცხრილი №3

ყოველწლიურად	5 წელიწადში	10 წელიწადში	15 წელიწადში	20 წელიწადში
24	28	30	32	33

ქ. თბილისში (დიდუბე) ელჭექი შესაძლებელია თებერვლიდან ნოემბრის ჩათვლით, მაქსიმალური ინტენსივობით მაის-ივნისში. სეტყვა შედარებით იშვიათია და შესაძლებელია მოვიდეს მარტიდან ნოემბრამდე, მაქსიმუმით მაის-ივნისში. ნისლი უმეტესად დამახასიათებელია წლის ცივი პერიოდისათვის, განსაკუთრებით იანვრისათვის. თბილ პერიოდში ნისლი იშვიათია. იანვარ-თებერვალში შესაძლოა ქარბუქი და ქარახვეტი.

ატმოსფეროს განსაკუთრებული მოვლენები წლის განმავლობაში, დღე; ცხრილი №4

მეტეო სადგური	ელჭექი		სეტყვა		ნისლი		ქარბუქი	
	საშუალო	ყველაზე დიდი	საშუალო	ყველაზე დიდი	საშუალო	ყველაზე დიდი	საშუალო	ყველაზე დიდი
თბილისი დიდუბე	35	52	1.6	7	33	62	0.3	4

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე (დიდუბე) შეადგენს „0“ მეტრს.

I.4 ზედაპირული წყლები

ბუნებრივია, რომ უშუალოდ გამოკვლეულ ტერიტორიაზე ზედაპირული წყლების მუდმივი წყალსადინარები არ არსებობს. მოზღვავებული ატმოსფერული ნალექების პერიოდში მათ გამოკვეთილი სადინარი არ გააჩნიათ და ფართობულ ხასიათს ატარებენ. მათი განტვირთვის მიმართულება აღმოსავლეთურია მდ. მტკვრის ჭალის მიმართულებით.

ამჟამად ადგილის რელიეფისთვის ზედაპირული წყლების ზემოქმედება მინიმალურია და არავითარი საშიშროება არა თუ დატბორვისა არამედ ფართობული ეროზიისა არ არსებობს.

მიუხედავად ამისა შენობების აშენების შემდგომ, უკვე სახეცვლილ პირობებში, ზედმეტი ზედაპირული წყლების ასარიდებლად შენობის პერიმეტრზე უნდა მოეწყოს წყალსარინი სისტემა, რომელიც დაიცავს მას ამ წყლების უარყოფითი ზემოქმედებისაგან და უზრუნველყოფს მის საიმედო ექსპლუატაციას გრძელვადიანი პერსპექტივით.

I.5 გეომორფოლოგიური პირობები და გეოდინამიკური პროცესები

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო მოედანი მდებარეობს ქ. თბილისის ასიმეტრიული ქვაბულის მარცხენა-დასავლეთ მხარეს. მორფომეტრიულად ის მდ. მტკვრის ხეობის მარჯვენა ნაწილშია და წარმოადგენს მდ. მტკვრისკენ 1-3° დახრილ მის ჭალისზედა მე-2 ტერასას თითქმის სწორი, გლუვი ზედაპირით, რომელიც სუსტად არის დანაწევრებული უწყლო ხევებით და ნაღვარევებით. გენეტიკურად საპროექტო მოედნის პირვანდელი რელიეფი აკუმულაციურ-დენუდაციური წარმოშობისაა, აბს. სიმაღლეები 417-418 მ-ის ფარგლებშია, შეფარდებითი – 17-18 მ – მდ. მტკვრის ადგილობრივ ტალვერგთან მიმართებაში.

რაც შეეხება საპროექტო სამშენებლო მოედანს – გეგმაში მართკუთხა ფორმისაა. ამჟამად ის მთლიანად ტექნოგენური ხასიათისაა. დღევანდელი მდგომარეობით აქ გადის სხვადასხვა მიმართულების ძალისმიერი და კავშირგაბმულობის მიწისქვეშა კაბელები.

საპროექტო ქვაბულის მოედნის ფარგლებში თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების გამოვლენა, მათ მიერ დატოვებული ან საგრძნობლად შეცვლილი რელიეფის ფორმები არ დაფიქსირდა. ზედაპირული წყლების ნეგატიური ზემოქმედების ფაქტორიც, თუნდაც ხანგრძლივი ატმოსფერული ნალექების პერიოდში უმნიშვნელო იქნება, შესაბამისად ფართობული ეროზიის საფრთხე თითქმის არ არსებობს. ტერიტორია დღეისათვის გამოირჩევა მდგრადობის საკმაოდ კარგი ხარისხით.

I.6 გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

ტექტონიკური თვალსაზრისით გამოკვლეული ტერიტორია შედის მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემაში, კერძოდ მასში შემავალი აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის სამხრეთი ქვეზონის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მთლიანად ნაოჭა სისტემა განიცდის დაძირვას. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება საქართველოს ბელტის აღმოსავლეთი დაძირვის ზონა, ხოლო სამხრეთიდან ართვინ-ბოლნისის ბელტის ნაწილი.

გეოლოგიური აგებულება. გამოკვლეული უბანი გეოლოგიურად განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთი დაძირვის ზონაში და ხასიათდება პალეოგენური ფლიშური-დანალექი და ვულკანოგენური ნალექების განვითარებით.

სამშენებლო მოედანზე ასაკობრივად ყველაზე ძველი ნალექები წარმოდგენილია ზედა ეოცენური P_2^3 ფლიშური-დანალექი ქანებით – შრეებრივი ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობით (ქვიშაქვები 60%, არგილითი 40%), რომელიც მთლიანობაში წარმოადგენს მოცისფრო-მოყავისფრო შრეებრივ ქანს, რომლებიც გახსნილია ჩვენს მიერ გაბურღულ ოთხივე

ჭაბურღილში 7.8-9.5 მ-დან. მათი ზედა (≈1.5-1.8 მ) ნაწილი გამოფიტულია სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შედეგად. გამოფიტვის ხარისხი შესამჩნევად დაბალია; გამოფიტვის პროცესის წინაღობა უმეტესად ცისფერი ქვიშაქვების „მაბრონირებელი“ ფაქტორითაა განპირობებული, რადგან მათი სიმკვრივე, სიმტკიცე, გრუნტის წყლის შეფარდებითი შეუღწევადობა ხელს არ უწყობს გამოფიტვის პროცესს. ამასთანავე მასთან ერთად მორიგეობაში მყოფი არგილითიც გამოუფიტავ მასივში საკმაოდ მკვრივი და მტკიცეა.

მათ ქვემოდან ესაზღვრება ამავე ქანების სუსტად გამოფიტული ნაწილი, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ ამ ქანებისათვის დამახასიათებელი ყველა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებელი. ისინი განლაგებულია 9.6-11.0 მ სიღრმიდან. მათი ვარდნის აზიმუტი ჩდ 350°, ვარდნის კუთხე 25° დასტურდება ჭრილების მეშვეობით. ამ ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ ქანს ზემოდან ადევს თანამედროვე (მეოთხეული) ალუვიური (aQ_{III}^3), დელუვიურ-პროლუვიური (dpQ_{IV}) და ტექნოგენური გრუნტის (tQ_{IV}) გრუნტები საერთო სიმძლავრით 7.8-9.5 მეტრი.

გეოლოგიური რუკა

(ამონარიდი დ. პაპავას, ე. დევდარიანის და ვ. აგეევის მიერ 1971 წელს შედგენილი აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთი ნაწილის 1:25000 მასშტაბის გეოლოგიური რუკიდან)



Q_{III} – ზედა მეოთხეული ასაკის ალუვიური გენეზისის ნალექები.

ჰიდროგეოლოგიური პირობები. საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით გამოკვლეული ტერიტორია შედის თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში, სადაც გავრცელებულია როგორც ღრმა ასევე არაღრმა ცირკულაციის წყლები.

უბანზე გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება უპირველესად მდ. მტკვრის ხეობის გეომორფოლოგიით, გეოლოგიური აგებულებით და ფიზიკო-გეოგრაფიული პირობებით.

მიწისქვეშა წყლები დაკავშირებულია მეოთხეულ ალუვიურ ნალექებთან aQ_{III}^{3}. ეს ნალექები გავრცელებულია მდ. მტკვრის მე-2 ჭალისზედა ტერასის ფარგლებში.

ლითოლოგიურად წარმოდგენილია კენჭნარით ქვიშნარის შემავსებლით კაჭარის ჩანართებით და ალუვიური ნალექები განლაგებულია მიწის ზედაპირიდან მეორე ფენის სახით ძირითადი ქანების ეროზიულ ზედაპირზე (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები). მათი მაქსიმალური სიმძლავრე 5 მეტრამდეა. წყალშემცველი ჰორიზონტის ქვევით გავრცელებული ძირითადი ქანების წყალშემცველობა უმნიშვნელოა. წყალშემცველი ჰორიზონტის კვება ხდება როგორც დასავლეთით მდებარე დაბალმთიანეთის ზედაპირული ჩამონადენის დრენირებით, ასევე ფართობზე ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციით და ტექნიკური წყლებითაც.

წყალშემცველი ჰორიზონტის წყლები ფოროვანია, მათი მოძრაობის გენერალური მიმართულება სუბმერიდიანული – სამხრეთულია.

გრუნტის წყლები დაფიქსირდა ჩვენს მიერ, გაბურღულ ოთხივე ჭაბურღილში. მათი გამოჩენის სიღრმეები 5.0-4.4-5.4-4.7 მეტრია, დამყარების შესაბამისად 4.9-4.3-5.3-4.6 მეტრი. წყალშემცველებად გვევლინებიან ალუვიური კენჭნარების და გამოფიტული ძირითადი ქანების ერთიანი ჰორიზონტი. გამოჩენის და დამყარების დონეების ერთმანეთთან შედარება მიგვანიშნებს მათში ჰიდრავლიკური დაწნევის უმნიშვნელო სიდიდეზე და მიუხედავად იმისა რომ ჩვენ არ ჩაგვიტარებია საცდელი ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები, ბურღვის პროცესზე დაკვირვებით ისინი გამოირჩევიან მაღალი წყალუხვობით, 2019 წლის ივნისის პერიოდისთვის.

სამშენებლო ქვაბულის მოწყობისას – მიწის ზედაპირიდან ≈7.4 მ-ზე ჩაღრმავება (ორი მიწისქვეშა სართული) – გამოიწვევს მიწისქვეშა წყლების უხვ შემოდინებას, რომელიც ყოველმხრივ გაართულებს ქვაბულში მიწისქვეშა სამუშაოებს. ამ გრუნტის წყლების წყალშემკრები საშუალებებით ორგანიზებული შეკრება (გეგმაში რგოლური ფორმის წყალსანირის მეშვეობით) და ე.წ. „კროტის“ დახმარებით მიწისქვეშა კოლექტორებით მათი გაყვანა ტერიტორიიდან საკმაოდ რთულია სწორი რელიეფის და მჭიდრო განაშენიანების გამო. რაც შეეხება ამოღებულ ქვაბულში სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად გრუნტის წყლის

დონის დაგდებას – გარდაუვალი პროცედურაა, რადგან საარქივო მასალების მიხედვით ალუვიური კენჭნარების ფილტრაციის კოეფიციენტი K=10-15 მ/დ.ღ.-ის ფარგლებშია, ამასთანავე საპროექტო ობიექტის მიმდებარედ დინამო თბილისის ფეხბურთის ბაზაზე ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენებულია ორი საექსპლუატაციო წყლის ჭაბურღილი, სადაც ექსპლუატაციაში სწორედ ეს ალუვიური aQ_{III}^3 ჰორიზონტია. იქ მათი წარმადობა თითოეულისთვის შეადგენს 0.5 ლ/წმ ანუ 43 მ^3/დღ.ღ. ხოლო ჩვენს შემთხვევაში ჭაბურღილების ნაცვლად დიდი ზომის ქვაბული იქნება. როცა ნაგებობა აშენდება ორი მიწისქვეშა სართულით – მეორე მიწისქვეშა სართული მთლიანად მოქცეული იქნება გრუნტის წყლის ჰორიზონტის არეალში (ფარგლებში). ასეთ პირობებში ასაშენებელი შენობის მიწისქვეშა სართულებში დანესტიანების პრობლემის აღსაკვეთად აუცილებელი იქნება მისი კედლები (შიგნიდან და გარედან) დაიფაროს თანამედროვე ჰიდროსაიზოლაციო საშუალებებით, ორჯერადი წასმით და აუცილებლად გათვალისწინებულ იქნას მიწისქვეშა სართულების უზრუნველყოფა სავენტილაციო სისტემებით.

ქიმიური შემადგენლობის მიხედვით წყლები სულფატურ-ჰიდროკარბონატულ კალციუმიან-ნატრიუმიანია, საერთო მინერალიზაციით M=3.3 გ/ლ და განეკუთვნება მლაშე, მარილიანი წყლების კატეგორიას.

გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის თანახმად ისინი გამოირჩევიან სხვადასხვა ხარისხით გამოხატული სულფატური აგრესიულობით პორტლანდცემენტიანი W_4, W_6 და W_8 მარკის ბეტონების მიმართ. რაც მოითხოვს მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებისას წიდაპორტლანდცემენტიანი ან სულფატომედეგიან ცემენტებზე დამზადებული ბეტონების გამოყენების აუცილებლობას. რაც შეეხება გრუნტის წყლების ზემოქმედებას რკინაბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე – არააგრესიული ხასიათისაა მათი მუდმივად დაძირვის პირობებში და სუსტად აგრესიული მათი პერიოდულად დასველებისას (აქ იგულისხმება გრუნტის წყლის დონის ცვალებადობა დროში) ამავდროულად გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დაბლა განლაგებულ იმ წყალშეცვლილი ქანებისთვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი Kφ>0.1 მ/დღ.ღ არის საშუალო.

II სპეციალური ნაწილი

II.1 საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და გამოყოფილი გრუნტების სახესხვაობები

სამშენებლო უბნის დათვალიერების შედეგად საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-განვითარების, არც მათ მიერ წარსულში ნამოქმედი სახეცვლილი რელიეფის ფორმების კვალი არ დაფიქსირდა. ტერიტორია მდგრადია და დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება. იგი თავისი გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის დანართი 10-ის თანახმად სამშენებლო ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას.

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე შედგენილია ჭაბურღილების სვეტები და უბნის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, გამოკვლეულ ტერიტორიაზე გამოყოფილია გრუნტების 5 ფენა: ფენა №1 – ტექნოგენური გრუნტი (tQ_{IV}), ფენა №2 – თიხა (dpQ_{IV}), ფენა №3 – კენჭნარი (aQ_{III}^3), ფენა №4 – გამოფიტული ძირითადი ქანების – ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა (60:40) (eP_2^3), ფენა №6 – სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანების – ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა (60:40) (P_2^3).

II.2 გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

ფენა №1 – ტექნოგენური გრუნტი - ასფალტი, ხრეში, თიხნარი, აგურის ნატეხები, სამშენებლო ნარჩენები, უწყლო (tQ_{IV}) – გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე უმეტეს ნაწილში ზედაპირიდან I შრედ. მისი სიმძლავრე 1.5-2.1 მ-ის ფარგლებშია. სივრცობრივად (როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად) ის საკმაოდ არაერთგვაროვანია. ფენა არ დასინჯულა სასაძირკვლე გრუნტად მისი გამოუყენლობის გამო. ფონდური მასალების მიხედვით სიმკვრივე ρ=1.8 გ/სმ^3-ის ფარგლებშია. ფენის გრუნტების პირობითი საანგარიშო წინაღობა (R_o) აღებულია ბნ 02.01-08 დანართი 3-ის ცხრ. 5-ის მიხედვით და შეადგენს R_o-180 კპა (1.8 კგძ/სმ^2).

ფენა №2 – თიხა ღია ყავისფერი, მომატებულ ტენიანი, მყარი და ნახევრად მყარი კონსისტენციის, ხრეშის და წვრილი კენჭების იშვიათი ჩანართებით, 0.3 მ-მდე სიმძლავრის ლამისმაგვარი თიხნარების ლინზებით და შუაშრეებით, თეთრი ფერის კარბონატული მარილების ლაქებით, უწყლო (dpQ_{IV}) - გავრცელებულია ზედაპირიდან მე-2 შრედ ფენა №1-

ის (ტექნოგენური გრუნტი) ქვემოთ 1.5-2.1 მ სიღრმიდან. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის 5 ნიმუშით. 1 დარღვეული სტრუქტურის ნიმუშით განისაზღვრა გრუნტში მარილების შემცველობა. ფენის სიმძლავრე 0.7-2.4 მეტრი.

ქვემოთ №5 ცხრილში მოცემულია ფენის გრუნტების ძირითადი ფიზიკური და მექანიკური მახასიათებლები და მათი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები:

ცხრილი №5

№№	ფიზიკური მახასიათებლები			განზომილება	მიღებულ სიდიდეთა დიაპაზონი	საშუალო არითმეტიკული (ნორმატიული) მნიშვნელობა
1	პლასტიკურობის რიცხვი		Ip	-	22-24	23
2	ბუნებრივი ტენიანობა		W	%	0.258-0.330	0.279
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	$გ/სმ^3$	1.76-1.91	1.84
		მშრალი გრუნტის	$ρ_d$		1.40-1.50	1.44
		გრუნტის ნაწილაკების	$ρ_s$		2.70-2.73	2.72
4	ფორიანობა		n	%	0.45-0.49	0.47
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	-	0.820-0.950	0.893
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	-	<0-0.875	0.239
7	ტენიანობის ხარისხი		S_r	-	0.75-0.96	0.85
	მექანიკური მახასიათებლები					
1	შიგა ხახუნის კუთხე		φ	გრად.	16	16
2	კუთრი შეჭიდულობა		C	კპა ($კგძ/სმ^2$)	41(0.41)	41(0.41)
3	დეფორმაციის მოდული		E	მპა ($კგძ/სმ^2$)	15(150)	15(150)

როგორც ცხრილიდან ჩანს პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით გამოკვლეული გრუნტი მიეკუთვნება თიხას, რადგან Ip=0.22-0.24 და თავსდება >0.17 ინტერვალში.

ბუნებრივი ტენიანობის მიხედვით გრუნტი მომატებულად ტენიანია >20%.

გრუნტის სიმკვრივის (ρ) და ჩონჩხის სიმკვრივის ($ρ_d$) მიხედვით გრუნტი შემკვრივებულ გრუნტს მიეკუთვნება, რადგან ρ=1.76-1.91 და $ρ_d$=1.40-1.50 შესაბამისად 1.70-2.20 და 1.35-1.90-ის ფარგლებშია.

ფორიანობის და ფორიანობის კოეფიციენტის მიხედვით გრუნტი უმეტესად მცირე სიმკვრივისაა, რადგან n=0.46-0.49 და თავსდება >45%-ის ფარგლებში, ხოლო e=0.820-0.950 და თავსდება >0.80-ის ფარგლებში.

დენადობის მაჩვენებლის (I_L) მიხედვით გრუნტი უმეტესად მყარი (I_L<0) და ნახევრად მყარი $0 \le I_L \le 0.25$, იშვიათად (1 შემთხვევა) დენადპლასტიკური ($0.75 < I_L \le 1.00$) კონსისტენციისაა.

ტენიანობის ხარისხის (Sr) მიხედვით გრუნტი უმეტესად წყალნაჯერს $0.8 < Sr \le 1.0$ მიეკუთვნება.

გრუნტს არ ახასიათებს ჯირჯვადობა, რადგან მაჩვენებელი Iss=-0.01-0.27-ის ფარგლებშია და ნაკლებია 0.30-ზე. შესაბამისად თავისუფალი გაჯირჯვება **Ɛ**sw „0“-ის ტოლია.

გრუნტი ნაწილი არ ხასიათდება ჯდომადი თვისებებით, ვინაიდან Sr მათში აღემატება 0.80-ს (1 შემთხვევაში 0.75, მიახლოვებულია 0.80-თან), რაც მიუთითებს მოცემული გრუნტის ფორების სრულ წყალგაჯერებაზე და რომელიც ავტომატურად ხსნის საკითხს გრუნტის ჯდომადობის ხარისხზე.

გრუნტში მარილების შემცველობის ანალიზის მიხედვით მასში ადვილად და საშუალოდ ხსნადი მარილების რაოდენობა (მშრალი ნაშთი+თაბაშირი) არ აღემატება 5%-ს, რაც ნიშნავს იმას რომ ის არ განეკუთვნება მარილიან გრუნტებს. ამავდროულად გასათვალისწინებელია ამავე ნიმუშის წყლით გამონაწურის ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით განსაზღვრული აგრესიულობის ხარისხი ბეტონების მიმართ რომლის მიხედვით ისინი ხასიათდებიან (იხ. გრუნტებში მარილების შემცველობის კვლევის შედეგები) სხვადასხვა სახით გამოხატული სულფატური აგრესიულობით პორტლანდცემენტზე, წიდაპორტლანდცემენტზე და სულფატომედეგ ცემენტზე დამზადებული W_4, W_6 და W_8 მარკის ბეტონების მიმართ, ხოლო ქლორიდული აგრესიულობის მიხედვით მეტალების მიმართ – საშუალოდ აგრესიული ხასიათით ნებისმიერი სახეობის ცემენტზე დამზადებული W_4, W_6 და W_8 მარკის ბეტონებისადმი. გამომდინარე აქედან ფენა №2-ის (თიხა) გრუნტები უკუჩაყრისთვის მიზანშეწონილი არ არის. ამავდროულად შენობის მიწისქვეშა ნაგებობები მიზანმიმართულად უნდა იქნას იზოლირებული ადგილობრივი გრუნტებისაგან სპეციალური საიზოლაციო საშუალებების გამოყენებით – მათი ორჯერადი წასმით – და მხოლოდ ამ პროცედურის შემდეგ უნდა შეივსოს ღიობები ადგილობრივი ან უმჯობესია მოტანილი გრუნტების მეშვეობით.

ფენის სიმტკიცის და დეფორმაციის მახასიათებლები, საანგარიშო წინაღობა აღებულია ᲡᲜ 02.01-08 დანართი 2-ის ცხრ. 2, 3 და დანართი 3-ის ცხრ. 3-ის მიხედვით, რომლებიც შესაბამისად შეადგენენ: შინაგანი ხახუნის კუთხე φ° - 16°, კუთრი შეჭიდულობა C – 41 კპა (0.41 კგძ/სმ^2), დეფორმაციის მოდული E - 15 მპა (150 კგძ/სმ^2), საანგარიშო წინაღობა Ro – 230 კპა (2.3 კგძ/სმ^2).

ფენა №3 - კენჭნარი მოყვითალო-ნაცრისფერი თიხაქვიშის შემავსებლით 10-15%-მდე, საკმაოდ მკვრივი; კენჭები უმეტესად წვრილი და საშუალო, დანალექი, მეტამორფული და ინტრუზიული ქანებისა, ქვედა ნაწილში კაჭარით 10-15%-მდე, ძნელად საბურღი, უმეტესად წყლოვანი (aQ_{III}^3)- გავრცელებულია ტერიტორიის მთელ ფართზე ფენა №2-ის (თიხა) ქვემოთ. გახსნილია ჭაბურღილებში ზედაპირიდან 2.8-4.5 მ-ში, სიმძლავრე 4.9-5.1 მ. ჩვენს მიერ აღებული დარღვეული სტრუქტურის ნიმუშების ლაბორატორიული ანალიზის თანახმად მსხვილნატეხოვანი ფრაქციის შემადგენლობა წარმოდგენილია საშუალო და კარგად დამუშავებული კაჭარით, კენჭებით და ხრეშით დანალექი, მეტამორფული და ინტრუზიული

ქანების მასალისაგან. ფენა ალუვიური გენეზისისაა და წარმოადგენს ზედა პლეისტოცენური (Q^3_{III}) ასაკის მდ. მტკვრის მე-2 ჭალისზედა ტერასის ფრაგმენტს. საველე პირობებში განსაზღვრულმა გრუნტის სიმკვრივემ შეადგინა 2.0 გ/სმ^3.

ფენის სიმტკიცის და დეფორმაციის მახასიათებლები, საანგარიშო წინაღობა აღებულია პნ 02.01-08 დანართი 2-ის და 3-ის ცხრ. №1 და №1 ცხრილების მიხედვით, რომლებიც შესაბამისად შეადგენენ: შინაგანი ხახუნის კუთხე φ° - 43°, კუთრი შეჭიდულობა C – 2 კპა (0.02 კგძ/სმ^2), დეფორმაციის მოდული E - 50 მპა (500 კგძ/სმ^2), საანგარიშო წინაღობა Ro – 450 კპა (4.5 კგძ/სმ^2).

ფენა №4 - გამოფიტული ძირითადი ქანების - ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა (60:40) დისლოცირებული, ნაპრალოვანი, ე.წ. „ნატეხოვანი ზონა“, კერნიც ამოდის ფრაგმენტებით ღორღის სახით, წყლოვანი; დაქან. აზიმ. ჩდ 350∠25 (eP_2^3) - გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე ფენა №3-ის (კენჭნარის) ქვემოთ 7.8-9.5 მ სიღრმიდან. საველე მონიტორინგის თანახმად ისინი გამოფიტულია სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შედეგად. გამოფიტვის ხარისხი არაერთგვაროვანია, მთლიანობაში საკმაოდ დაბალი. კერნიც ამოდის შესაბამისად – უფრომეტად ნატეხოვანი სახესხვაობების სახით. შედარებით მაღალია გამოფიტვა არგილიტების სიჭარბის ადგილებში.

საველე პირობებში განისაზღვრა ფენის სიმკვრივე (ρ), რომელმაც შეადგინა 2.15 გ/სმ^3. ფენისათვის დეფორმაციის მოდული და საანგარიშო წინაღობა აღებულია 2.02.01-83-ის დამხმარე სახელმძღვანელოს ცხრ. 119-დან, რომლის მიხედვით E - 35 მპა (350 კგძ/სმ^2), საანგარიშო წინაღობა R_o – 400 კპა (4.0 კგძ/სმ^2). ფენის სიმძლავრე 1.5-1.8 მეტრია.

ფენა №5 - სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანების - ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა (60:40) ქვიშაქვა მოყავისფრო და მოცისფრო წვრილმარცვლოვანი, საშუალო და სქელშრეებრივი, მკვრივი, საშუალო სიმტკიცის; არგილითი მუქი ყავისფერი, თხელშრეებრივი, მკვრივი, დადაბლებული სიმტკიცის, უწყლო; დაქან. აზიმ. ჩდ 350∠25 (P_2^3) - გავრცელებულია ტერიტორიაზე ფენა №4-ის (გამოფიტული ძირითადი ქანები) ქვემოთ 9.6-11.0 მეტრიდან. მათ შორის საზღვარი ფიქსირდება ბურღვის პროცესზე დაკვირვებით, კერნის ფიზიკური მდგომარეობის შესწავლით, სახეცვლილ გარემოში მდგრადობის ხარისხის მონიტორინგით, ლაბორატორიული მონაცემების ანალიზით.

ქანში ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობის პროცენტული თანაფარდობა სხვადასხვაგავარია. ჩვენს მიერ საანგარიშო ერთეულად აღებული იქნა თანაფარდობა ქვიშაქვების ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებლით (თუმცა ის ზოგგან გაცილებით მეტია); ამ ფენას შენარჩუნებული აქვს ამ ქანისთვის დამახასიათებელი ყველა ფიზიკურ-

მექანიკური მახასიათებელი. ფიტვადობის წინაღობა უმეტესად ქვიშაქვების „მაბრონირებელი“ ფაქტორითაა განპირობებული, რადგან მათი სიმკვრივე, სიმტკიცე, გრუნტის წყლის შეუღწევადობა ხელს არ უწყობს გამოფიტვის პროცესს. ამასთანავე მასთან ერთად მორიგეობაში მყოფი არგილითიც მასივში საკმაოდ მკვრივი და მტკიცეა.

ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის 2 ნიმუშით – 2 ქვიშაქვის და 1 არგილითის. ლაბორატორიაში მოხდა მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა, კლასიფიცირება (იხ. ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევის შედეგები).

ქვემოთ მოცემულია ძირითადი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მოკლე დახასიათება მიღებულ ლაბორატორიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

სახსტანდარტი 25100 ცხრ.№1 მიხედვით ქვიშაქვები მიეკუთვნება:

- კლდოვან გრუნტს, რადგან სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვისას Rკ წყალგაჯერებულ მდგომარეობაში მეტია 50 კგძ/სმ^2-ზე;
- საშუალო სიმტკიცის გრუნტებს, შვიდრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმტკიცის შემცირების მიხედვით მესამე რეიტინგისაა;
- წყალში დარბილების ხარისხის მიხედვით განეკუთვნება დარბილებად გრუნტს, რადგან დარბილების კოეფიციენტი K_{saf}<0.75.

გრუნტის საშუალო სიმკვრივეა 2.42 გ/სმ^3 და განეკუთვნება მკვრივ გრუნტებს, ოთხრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმკვრივის შემცირების მიხედვით კი მეორე რეიტინგისაა.

ამავე სტანდარტის მიხედვით არგილითები მიეკუთვნება ნახევრად კლდოვან გრუნტებს, რადგან მათი სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვისას Rკ წყალგაჯერებულ მდგომარეობაში უმეტესად ნაკლებია 50 კგძ/სმ^2-ზე.

- დადაბლებული სიმტკიცის გრუნტებს, შვიდრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმტკიცის შემცირების მიხედვით მეხუთე რეიტინგისაა;
- წყალში დარბილების ხარისხის მიხედვით განეკუთვნება დარბილებად გრუნტს, რადგან დარბილების კორფიციენტი K_{saf}<0.75.
- გრუნტის საშუალო სიმკვრივეა 2.39 გ/სმ^3 და განეკუთვნება მკვრივ გრუნტებს სიმკვრივის რეიტინგის მიხედვით.

№6 ცხრილში მოცემულია I ს.გ.ე. – ფენა №5-ის საანგარიშო ნორმატიული ფიზიკურ-მექანიკური მნიშვნელობები.

ცხრილი №6

გრუნტის მახასიათებლები	ძირითადი ქანები	საანგარიშო მნიშვნელობა
წყალგაჯერებულ მდგომარეობაში მყოფი გრუნტის ზღვრული სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე $R_к$ (კგძ/სმ^2)	ქვიშაქვები	201
	არგილითები	42
	მთლიანად ფენა №5-ისთვის	137
სიმკვრივე ρ (გ/სმ^3)	ქვიშაქვები	2.42
	არგილითები	2.39
	მთლიანად ფენა №5-ისთვის	2.41

შენიშვნა: მთლიანად ფენა №5-სთვის საანგარიშო მნშვნელობები მიღებულია 0.60 $R_к$ (ქვიშაქვა) + 0.40 $R_к$ (არგილითი) ემპირიული ფორმულის თანახმად, რომლის სრული ვერსიაა: $XR_к$ (ქვიშაქვა) + $YR_к$ (არგილითი); სადაც X და Y მათი პროცენტული შემცველობაა ფენაში;

დასკვნები და რეკომენდაციები

1. მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ: ზედა ეოცენის (P_2^3) ასაკის ქვიშაქვების და არგილითების განსხვავებული (60:40) თანაფარდობის შრეების მორიგეობით წარმოდგენილი ძირითადი ქანები, რომლებიც ზემოდან დაფარულნი არიან მეოთხეული ასაკის ალუვიური (aQ_{III}^3) დელუვიურ-პროლუვიური (dpQ_{IV}) და ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტებით;
2. გამოკვლეულ ტერიტორიაზე გამოყოფილია 5 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ს.გ.ე.):
   - I ს.გ.ე. (ფენა №1) – ტექნოგენური გრუნტი;
   - II ს.გ.ე. (ფენა №2) – თიხა;
   - III ს.გ.ე. (ფენა №3) – კენჭნარი;
   - IV ს.გ.ე. (ფენა №4) – გამოფიტული ძირითადი ქანების - ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა (60:40);
   - V ს.გ.ე. (ფენა №5) – სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანების - ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა (60:40);

   ქვემოთ ცხრილ №7-ში მოცემულია ხუთივე ს.გ.ე.-ის გრუნტების საანგარიშო ნორმატიული ფიზიკურ-მექანიკური მნიშვნელობები, მიღებული როგორც ლაბორატორიული გამკვლევებით, პნ 02.01-08 დანართი 2-ის და 3-ის შესაბამისი

ცხრილების და ს. ნ. და წ. 2.02.01-83-ის დამხმარე სახელმძღვანელოს №119 ცხრილის მიხედვით.

ცხრილი №7

№№	გრუნტის მახასიათებლები		საანგარიშო მნიშვნელობები				
			I ს.გ.ე. (ფენა №1)	II ს.გ.ე. (ფენა №2)	III ს.გ.ე. (ფენა №3)	IV ს.გ.ე. (ფენა №4)	V ს.გ.ე. (ფენა №5)
1	სიმკვრივე ρ გ/სმ^3		1.8	84	2.00	2.15	2.41
2	შიგა ხახუნის კუთხე φ°		-	14	39	-	-
3	კუთრი შეჭიდულობა C კპა (კგძ/სმ^2)		-	27(0.27)	1(0.01)	-	-
4	დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ^2)		-	15(150)	50(500)	35(350)	-
5	საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ^2)		180(1.8)	230(2.3)	450(4.5)	350(3.5)	-
6	წყალგაჯერებულ მდგომარეობაში მყოფი გრუნტის ზღვრული სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე $R_к$ (კგძ/სმ^2)		-	-	-	-	137
7	დრეკადობის მოდული ერთღერძა კუმშვაზე წყალნაჯერ მდგომარეობაში, E მპა	ქვიშ.	-	-	-	-	4383
		არგ.	-	-	-	-	913

შენიშვნა: ფენა №2-ის და ფენა №3-ის სიმტკიცის მახასიათებლების (C; φ°) საანგარიშო მნიშვნელობები მიღებულია ს.ნ. და წ. პნ 02.01-08 მუხლი 7-ის №7 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

3. ტექნიკური დავალების თანახმად საძირკვლის ტიპი წერტილოვანია – საბურღ სატენი ტექნოლოგიით შესრულებული რკინაბეტონის ხიმინჯების სახით. სასაძირკვლე ფუძე გრუნტებად გვევლინებიან ფენა №5 (ს.გ.ე. V)-ის სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანების – ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა (60:40) – რომლებიც გამოირჩევიან ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებლების საკმაოდ მაღალი მნიშვნელობებით. საპროექტო შენობის აღმოსავლეთით მომიჯნავე 12 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის პერიმეტრზე ხიმინჯები გაყვანილი უნდა იქნას ქვაბულის ამოღებამდე მინიმალური ბიჯებით (დაშორებებით) რითაც უზრუნველყოფილი იქნება ქვაბულის კედლების მდგრადობის საკითხი მისი გაყვანის და მიწისქვეშა სამუშაოების წარმოების პროცესში.
4. გრუნტის წყლები დაფიქსირდა ჩვენს მიერ, გაბურღულ ოთხივე ჭაბურღილში. მათი გამოჩენის სიღრმეები 5.0-4.4-5.4-4.7 მეტრია, დამყარების შესაბამისად 4.9-4.3-5.3-4.6 მეტრი. წყალშემცველებად გვევლინებიან ალუვიური კენჭნარების და გამოფიტული ძირითადი ქანების ერთიანი ჰორიზონტი. გამოჩენის და დამყარების დონეების ერთმანეთთან შედარება მიგვანიშნებს მათში ჰიდრავლიკური დაწნევის უმნიშვნელო სიდიდეზე და მიუხედავად იმისა რომ ჩვენ არ ჩაგვიტარებია საცდელი

ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები, ბურღვის პროცესზე დაკვირვებით ისინი გამოირჩევიან მაღალი წყალუხვობით, 2019 წლის ივნისის პერიოდისთვის.

სამშენებლო ქვაბულის მოწყობისას – მიწის ზედაპირიდან ≈7.4 მ-ზე ჩაღრმავება (ორი მიწისქვეშა სართული) – გამოიწვევს მიწისქვეშა წყლების უხვ შემოდინებას, რომელიც ყოველმხრივ გაართულებს ქვაბულში მიწისქვეშა სამუშაოებს. ამ გრუნტის წყლების წყალშემკრები საშუალებებით ორგანიზებული შეკრება (გეგმაში რგოლური ფორმის წყალსანირის მეშვეობით) და ე.წ. „კროტის“ დახმარებით მიწისქვეშა კოლექტორებით მათი გაყვანა ტერიტორიიდან საკმაოდ რთულია, სწორი რელიეფის და მჭიდრო განაშენიანების გამო. რაც შეეხება ამოღებულ ქვაბულში სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად გრუნტის წყლის დონის დაგდებას – გარდაუვალი პროცედურაა, რადგან საარქივო მასალების მიხედვით ალუვიური კენჭნარების ფილტრაციის კოეფიციენტი K=10-15 მ/დ.ღ.-ის ფარგლებშია, ამასთანავე საპროექტო ობიექტის მიმდებარედ დინამო თბილისის ფეხბურთის ბაზაზე ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენებულია ორი საექსპლუატაციო წყლის ჭაბურღილი, სადაც ექსპლუატაციაში სწორედ ეს ალუვიური aQ_{III}^3 ჰორიზონტია. იქ მათი წარმადობა თითოეულისთვის შეადგენს 0.5 ლ/წმ ანუ 43 მ^3/დღ.ღ. ხოლო ჩვენს შემთხვევაში ჭაბურღილების ნაცვლად დიდი ზომის ქვაბული იქნება. როცა ნაგებობა აშენდება ორი მიწისქვეშა სართულით – მეორე მიწისქვეშა სართული მთლიანად მოქცეული იქნება გრუნტის წყლის ჰორიზონტის არეალში (ფარგლებში). ასეთ პირობებში ასაშენებელი შენობის მიწისქვეშა სართულებში დანესტიანების პრობლემის აღსაკვეთად აუცილებელი იქნება მისი კედლები (შიგნიდან და გარედან) დაიფაროს თანამედროვე ჰიდროსაიზოლაციო საშუალებებით, ორჯერადი წასმით და აუცილებლად გათვალისწინებულ იქნას მიწისქვეშა სართულების უზრუნველყოფა სავენტილაციო სისტემებით.

ქიმიური შემადგენლობის მიხედვით წყლები სულფატურ-ჰიდროკარბონატულ კალციუმიან-ნატრიუმიანია, საერთო მინერალიზაციით M=3.3 გ/ლ და განეკუთვნება მლაშე, მარილიანი წყლების კატეგორიას.

გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის თანახმად ისინი გამოირჩევიან სხვადასხვა ხარისხით გამოხატული სულფატური აგრესიულობით პორტლანდცემენტიანი W_4, W_6 და W_8 მარკის ბეტონების მიმართ. რაც მოითხოვს მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებისას წიდაპორტლანდცემენტიანი ან სულფატმედეგიან ცემენტებზე დამზადებული ბეტონების გამოყენების აუცილებლობას. რაც შეეხება გრუნტის წყლების ზემოქმედებას რკინაბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე – არააგრესიული ხასიათისაა მათი მუდმივად

დაძირვის პირობებში და სუსტად აგრესიული მათი პერიოდულად დასველებისას (აქ იგულისხმება გრუნტის წყლის დონის ცვალებადობა დროში) ამავდროულად გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დაბლა განლაგებულ იმ წყალშეცვლილი ქანებისთვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი Kφ>0.1 მ/დღ.ღ არის საშუალო.

5. გრუნტში მარილების შემცველობის ანალიზის მიხედვით (ფენა №2-ის თიხოვანი წარმონაქმნები) მასში ადვილად და საშუალოდ ხსნადი მარილების რაოდენობა (მშრალი ნაშთი+თაბაშირი) არ აღემატება 5%-ს, რაც ნიშნავს იმას რომ ის არ განეკუთვნება მარილიან გრუნტებს. ამავდროულად გასათვალისწინებელია ამავე ნიმუშის წყლით გამონაწურის ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით განსაზღვრული აგრესიულობის ხარისხი ბეტონების მიმართ რომლის მიხედვით ისინი ხასიათდებიან (იხ. გრუნტებში მარილების შემცველობის კვლევის შედეგები) სხვადასხვა სახით გამოხატული სულფატური აგრესიულობით პორტლანდცემენტზე, წიდაპორტლანდცემენტზე და სულფატომედეგ ცემენტზე დამზადებული W_4, W_6 და W_8 მარკის ბეტონების მიმართ, ხოლო ქლორიდული აგრესიულობის მიხედვით მეტალების მიმართ – საშუალოდ აგრესიული ხასიათით ნებისმიერი სახეობის ცემენტზე დამზადებული W_4, W_6 და W_8 მარკის ბეტონებისადმი. გამომდინარე აქედან ფენა №2-ის (თიხა) გრუნტები უკუჩაყრისთვის მიზანშეწონილი არ არის. ამავდროულად შენობის მიწისქვეშა ნაგებობები მიზანმიმართულად უნდა იქნას იზოლირებული ადგილობრივი გრუნტებისაგან სპეციალური საიზოლაციო საშუალებების გამოყენებით – მათი ორჯერადი წასმით – და მხოლოდ ამ პროცედურის შემდეგ უნდა შეივსოს ღიობები ადგილობრივი ან უმჯობესია მოტანილი გრუნტების მეშვეობით.

6. ამჟამად ადგილის რელიეფისთვის ზედაპირული წყლების ზემოქმედება მინიმალურია და არავითარი საშიშროება არა თუ დატბორვისა არამედ ფართობული ეროზიისა არ არსებობს. მიუხედავად ამისა შენობების აშენების შემდგომ, უკვე სახეცვლილ პირობებში, ზედმეტი ზედაპირული წყლების ასარიდებლად შენობის პერიმეტრზე უნდა მოეწყოს წყალსარინი სისტემა, რომელიც დაიცავს მას ამ წყლების უარყოფითი ზემოქმედებისაგან და უზრუნველყოფს მის საიმედო ექსპლუატაციას გრძელვადიანი პერსპექტივით.

7. საპროექტო ქვაბულის მოედნის ფარგლებში თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების გამოვლენა, მათ მიერ დატოვებული ან საგრძნობლად შეცვლილი რელიეფის ფორმები არ დაფიქსირდა. ზედაპირული წყლების ნეგატიური ზემოქმედების ფაქტორიც, თუნდაც ხანგრძლივი ატმოსფერული ნალექების პერიოდში უმნიშვნელო იქნება,

შესაბამისად ფართობული ეროზიის საფრთხე თითქმის არ არსებობს. ტერიტორია დღეისათვის გამოირჩევა მდგრადობის საკმაოდ მაღალი ხარისხით.

8. საძირკვლისათვის ამოღებული ქვაბულისა და ხიმინჯების მოსაწყობი ჭაბურღილების შესამოწმებლად მიზანშეწონილია დაწესდეს ტექნიკური ზედამხედველობა ინჟინერ-გეოლოგის მონაწილეობით.

9. ბურღვით ნატენი ხიმინჯების მოწყობის პერიოდში აუცილებელია იმის გათვალისწინება რომ ძირითადი ქანები – არგილითები და ქვიშაქვები – სახეცვლილ გარემოში მოხვედრისას ხასიათდებიან ფიზიკური გამოფიტვა – დაშლის საოცრად მაღალი მაჩვენებლით (აერობული პირობები, ინსოლაცია, ზედაპირული და გრუნტის წყლები) ამიტომ სახიმინჯე ჭაბურღილების გაყვანა, მოქსოვილი არმატურის ჩასმა და დაბეტონება აუცილებლად უნდა მოხდეს ოპერატიულად, დროის უმცირეს მონაკვეთებში.

10. ქვაბულის ფერდოს მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებულ იქნას ს.ნ. და წ. 3.02.01-87 პპ 3.11, 3.12, 3.15 და ს.ნ. და წ. III-4-80 მე-9 თავის მოთხოვნათა მიხედვით.

11. ს.ნ. და წ. - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01.-09)-ის მიხედვით უბანი მიეკუთვება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტით – 0.17;

იმავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი №1-ის თანახმად, სეისმური თვისებების მიხედვით სამშენებლო ფართზე გავრცელებული გრუნტები უმეტესად მიეკუთვნებიან მე-II კატეგორიის გრუნტებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლო მოედნის საანგარიშო სეისმურობა მთლიანობაში განისაზღვროს 8 ბალით.

12. უბნის ამგები გრუნტები დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-2-82-ის ცხრ. №1-ის თანახმად მიეკუთვნებიან:

ფენა №1 – ტექნოგენური გრუნტი – ყველა სახის დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ^3 (რიგ. №24ა);

ფენა №2 – თიხა – ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით IV ჯგუფს, დანარჩენით – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1950 კგ/მ^3 (რიგ. №8დ);

ფენა №3 – კენჭნარი - ერთციცხვიანი ექსკავატორით – II ჯგუფს, დანარჩენით – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1950 კგ/მ^3 (რიგ. №6ბ);

